ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N 004-2024-ბ

ქ. თბილისი **2024 წელი**

ერთის მხრივ სსიპ „სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო“ (შემდგომ - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ერეკლე კეჟერაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სანნა“ (შემდგომ - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ნინო პაპასქირის (პ/ნ: 01324092162) სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომ - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.5. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება.
1.6. ელექტრონული შტამპი - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება.
1.7. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.8. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში 2 (ორი) ცალი ტანსაცმლის საკიდის VAMMEN *(ზომით: 35x179x35 სმ. ფერი: შავი; მასალა: მეტალი*) (შემდგომში - საქონელი) სახელმწიფო შესყიდვა, ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N1-ის შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV 39136000.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ერთეულის ფასი

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **258.00 (ორას ორმოცდათვრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.
3.2. ერთი ერთეული ტანსაცმლის საკიდის VAMMEN *(ზომით: 35x179x35 სმ. ფერი: შავი; მასალა: მეტალი*) ღირებულება შეადგენს **129.00 (ას ოცდაცხრა ლარი და 00 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული საქონელი;
ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.
4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;
ბ) შეამოწმოს საქონლის ხარისხი;
გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ, ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია, ჩაატაროს ხარისხის შემოწმება და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია, შეცვალოს აღნიშნული საქონელი ან დაუბრუნოს შემსყიდველს მისი ღირებულება.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: *ადმინისტრაციული და მომსახურების დეპარტამენტის* უფროს სპეციალისტს ზურაბ ნავდარაშვილს.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
6.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო საქონლის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით, საქონელთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა.
6.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია სსიპ „სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი
7.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო
7.4. დაფინანსების წყარო: **2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, წერეთლის 126.
8.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან - 2024 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
10.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან, აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ფორს-მაჟორი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.
11.3. ხელშეკრულების მიზნებისათვის, „ფორს-მაჟორად“ მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.
11.4. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

12. შეტყობინების განხორციელება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის სახით.

12.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ეკატერინე ბენდელიანი (ტელ.: 591 222 888 ელ. ფოსტა: e.bendeliani@rta.gov.ge), ზურაბ ნავდარაშვილი (ტელ.: 598 50 96 53, z.navdarashvili@rta.gov.ge, მიმწოდებლის მხრიდან (ტელ.: (+995) 322 117 777, ელ. ფოსტა: online@jysk.ge).

12.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

12.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ რომ, ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთ შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი, მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.2. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო“
მის: ქ.თბილისი, პეტრე ქავთარაძის №20დ
ს/კ: 204 683 627
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

დირექტორი:
ერეკლე კეჟერაშვილი

Erekle Kezherashvili
Digitally signed by Erekle Kezherashvili
Date: 2024.01.18 13:19:43

მიმწოდებელი:
შპს „სანნა“
მის: ქ. თბილისი, წერეთლის 126
ს/კ: 404 508 154
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE93TB7359636020100005

დირექტორის მინდობილი პირი:
ნინო პაპასქირი

დანართი N1

- 2 (ორი) ცალი ტანსაცმლის საკიდის VAMMEN *(ზომით: 35x179x35 სმ. ფერი: შავი; მასალა: მეტალი)*
- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **258.00 (ორასორმოცდათვრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- ერთი ერთეული ტანსაცმლის საკიდის VAMMEN *(ზომით: 35x179x35 სმ. ფერი: შავი; მასალა: მეტალი)* ღირებულება შეადგენს **129.00 (ას ოცდაცხრა ლარი და 00 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.